წელიწადი 1-ლი

ტელეფონი №76.

ხუთშაბათი 4 მაისი 1917

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლიურად . . 15 მან.
ნახევარი წლით . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
[illegible]
განცხადება ღირს [illegible]
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულს არა უმეტეს სამ [illegible]
გამომცხადებლებთა, [illegible]
2 საათ. 3 მ.
2 საათის შემდ. . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. მიქელაძის ს.

№ 20

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ე ს:

წერილები:

ინ-ხანი—გულის სიღრმიდან.
Dis—საით მიგვაქანებენ?
ჯიხ—ომი.
დამსწრე—ქართვ. კათოლიკეთა კითხვა.
მასწავლებელი—უხერხული მდგომარეობა.
ია ეკალაძე—ცოტარამ სადღეისოდ.
რუსული პრესა.

ცნობები:

პარტიის ცხოვრებიდან.
რევოლუციის ამბები. რუსეთი. უცხოეთი.
მსოფლიო ომი.
ეროვნული კითხვა, ზავის გარშემო.
უკანასკნელი ამბები.
ახალი ამბავი.

ელექტრო „რ ა დ ი უ მ" თეატრი

1 მაისისთვის ახალი პროგრამა: ვნებანი სიმღერა სიყვარულისა და სამწუხარის დრამა 5 მოქმედ. ცნობილ მსახიობთა თანამონაწილეობით.

ფრანჩესკა ბერტინისა

1. განყ. მინდვრის ხუნდები. 2 განყ. ხუნდები სახელის მოხვეჭისა. 3 განყ. სიყვარულის ხუნდები. 4 განყ. ვნების ხუნდები. 5 განყ. სიკვდილის ხუნდები.
კუნძულ „კიუსიუზე".

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ორშაბათ 1 მაისიდან გამოცხადებულ სურათის „კატასტროფა"-ს მაგიერ ნაჩვენები იქნება

მონობა ფუფუნებისა ბედნიერებაა ქალისა

დრამა 4 მოქ., რომელიც აგვიწერს დღევანდელ ოჯახის დაცემას
კარაპუზი შურს იძიებს შეგინებულ პატიოსნებისათვის სახუმარო.

მოქალაქენო!

ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი, მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით, ხუთშაბათს, 4 მაისს, საღამოს 7 საათზე. ქალაქის თეატრში მართავს სასწრაფო კრებას იმ საკითხების გამოსარკვევად, რომელნიც შეეხებიან სამ-მილიარდიან

„თავისუფლების სესხზე"

ხელის მოწერას. ეს სესხი, რომელიც თავის დანიშნულებით სრულიად შეეფერება თანამედროვე დიად მომენტს ჩვენი ძვირფასი სამშობლოს განახლებისას. იწვევს მხურვალე თანაგრძნობას მთელს რუსეთში და მის უშორეს. ნაკლებად კულტურულ განაპირა ადგილებში. გაზეთებს ყოველ დღე მოაქვს ამბები შესახებ იმისა, რომ ხელის მოწერა „თავისუფლობის სესხზე" ყოველგან ჩინებულად მიმდინარეობს და დროებითი მთავრობის ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სასიხარულოა, რომ ათასწლობით დამონებული რუსის ხალხი მზადაა გამოიღოს ყოველგვარი მსხვერპლი მოპოებულ თავისუფლებათა განსამტკიცებლად მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც.

ქ. ქუთაისის და მთელი გუბერნიის მოქალაქენო!

დაამტკიცეთ. რომ თქვენც გამსცვალენით მომენტის სიდიადით და მზადა ხართ ყოველგვარ სხვერპლისათვის დიდებული რევოლიუციის გამარჯვების დასამთავრებლად! ესწრაფენით „თავისუფლების სესხზე" ხელის მოწერას; რომ ამით დროებით მთავრობას გაუადვილოთ მისგან ნაკისრი ძნელი საქმე.

ვისაც სურს დაწვრილებით გაეცნოს „თავისუფალების სესხის" პირობებს და დარწმუნდეს, თუ რამდენად სასარგებლოა ის. მობრძანდეს ქალაქის თეატრში 4 მაისის კრებაზე.

ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ი, მ. ჩიქოვანი.

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეფიმოვებისა.
ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.
ხუთშაბათს, 4 და პარასკევს 5 მაისს გაიმართება

ბომონ არისტოკრატიული

წარმოდგენები გამოჩენილ მსახიობთა მონაწ. მსოფლიო საოცრების და სხვათა აზრების გამომცნობ ქ-ბნ

ლიუციას

გასტროლები. ქ-ბნი ლიუცია ყველაფერს გამოიცნობს ის მარჯვე და მოხერხებულ პასუხს იძლევა ყოველ კითხვაზე. აგრეთვე მონაწილეობას მიიღებენ საცირკო ხელოვნების საუკეთესო მსახიობნი. ქ-ბნ ლიუციას გამოსვლა 10 საათზე. დასაწყისი საღამოს 9 ნახევარ საათზე. 2—1

გულის სიღრმიდან.

„თუ არა მე ჩემთვის—მაშ ვინღა?
თუ ეხლა არა—მაშ როდისღა?"

ჩაუკვირდით მკითხველო ამ სიტყვებს და საგონებელში ჩავარდებით. არ გეგონოსთ ეს ვინმე პოლიტიკოსის, ან მეცნიერის, გამოჩენილი მოღვაწის ფრაზა იყოს. პირიქით ეს უბრალო კაცის, საწყალი გლეხის ნაამბობია, რომლის მეხსიერებაშიც ვინ იცის საიდან ჩაწვეთილა ეს ბიბლიური პანეები. მისი გულის სიღრმიდან ამოხეთქილი სიტყვებია, რომელიც მეტად ანგარიშ გასაწევია.

117 წლის განმავლობაში დევნილ იყო ქართველის პიროვნება, მისი კულტურა, ენა, მიწა-წყალი, სინიდისი, ოჯახი და სხვა.

117 წლის განმავლობაში 7 მეფე იცვალა პეტროგრადმა; შვიდჯერვე მანიფესტები გამოიცა და შვიდჯერვე გაცრუვდა ქართველობის იმედი. სამამულიშვილო ომი, დეკაბრისტების ამბოხება, ყირიმის კამპანია, მრავალი საერთაშორისო კონფერენციები, იაპონის ომი, 1905 წლის მანიფესტი და რევოლუცია ყველა უნაყოფო გამოდგა ჩვენი ჭრილობების მწარე ტკივილების განსაკურნავად. გვეგონა აი აგერ ეშველება საწყალ საქართველოს და აი აგერო, მაგრამ ამაოდ. ყველგან და ყოველთვის თანდათანობით ღრმავდებოდა ჩვენი ტკივილები.

და აჰა! დაჰკრა თავისუფლების, ძმობისა და ერთობის ზარმა! გაჰყვირა საქვეყნოდ საიმედო რევოლუციამ. აღავსო ქართველის გული აღორძინების იმედით და შეიძრა მთელი ქართველობაც: გლეხი, თავადი, აზნაური, ვაჭარი, მუშა, ქრისტიანი, ისრაელი, მაჰმადიანი. დაიყვენ პარტიებად. ჯგუფებად, და შეუდგნენ ქართული შენობის საძირკვლის ჩაჰყრას. ყველა დარწმუნდა, რომ ეხლა დადგა ჟამი განკითხვისა, ჟამი მოწხიბლავი ეროვნული თავისუფლებისა.

მაგრამ განვლო ორ თვეზე ნაკლებმა დრომ და ერის ჭრილობები კვლავაც სისხლითა და ბალღმით იდინებიან. ჩვენი ეკლესიაც კი არა ჰსურთ განთავისუფლდეს და ემსახუროს ერის ზნეობას მისი კულტურის მოთხოვნილებისამებრ.

საშინელი სულიერი ტრაგედია გამოსჭვივის ეპიგრაფში მოყვანილ ბიბლიის სიტყვებიდან. ეს გლეხი არ არის მარტო გლეხი. მასში ინსტიქტიურად ქართველის ტიპი ლაპარაკობს.

ეს სიტყვები ნათლად მოწმობენ, რომ გლეხი თანდათან ირკვევა. სასიხარულოა ასეთი მოვლენა, საიმედოა ყოველი ქართველისათვის.

მართლაც! ჩაუკვირდით ამ სიტყვებს. განსაჯეთ და დარწმუნდებით, რომ თუ შენ თვითონ არ დაიცავი შენი უფლებები, სხვებს არაფრად ეპიტნავები, თუ შენვე არ ჩაუყარე საძირკველი შენს შენობას, სხვა მისთვის ფერფლსაც არ გაიმეტებს.

აი ამიტომ არის, რომ ჩვენის ძალღონით, ჩვენის ენერგიით, ჩვენის ცოდნითა და გამოცდილებით უნდა დავიწყოთ ეროვნული შენობის აგება. დრო ეხლა დადგა. გლეხს მოაგონდა პირველად ბიბლიური სიტყვები და ამ სიტყვებით მან გამოსთქვა ქართველი ერის აზრი, მისი კვნესა. ამიტომ ჩვენც გავიმეორებთ:

„თუ არა მე ჩემთვის—მაშ ვინღა?
თუ ეხლა არა—მაშ როდისღა?"

ინ-ხანი.

საით მიგვაქანებენ?

დღევანდელი მდგომარეობა ბურუსიანი და გამოურკვეველია. რევოლუციისგან ყოველ წამში ახალ-ახალ პერსპექტივებს მოველით. რაც უნდა მშვიდობიანის გზით მომხდარიყო რევოლუცია, იმის თქმა, მაინც არავის შეეძლო, რომ სახელმწიფოს საქმე სრულის თანხმობით მოგვარდებოდა და დავა არსაიდან იქნებოდა მოსალოდნელი.

საუკუნოების განმავლობაში შებორკილი ხალხის აზროვნება, მსოფლ-მხედველობა დღეს პირველად ეღირსა თავისუფალ შემოქმედების ასპარეზს. რა თქმა უნდა უზარმაზარ სახელმწიფოში ყველა ერთი მსოფლ-მხედველობის ვერ იქნება. პოლიტიკურ ჰორიზონტზე ბევრი სხვა და სხვა დროშა ფრიალებს. ყოველ დროშას ყავს თავისი მიმდევარი და თითოეულ მათგანს სწამს, რომ სახელმწიფოს მხოლოთ მისი დოქტრინა უშველის. 3 მარტს შემდგარი სახ. სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტი (დროებითი მთავრობა) ფაქტიურად არ განაგებს სახელმწიფოს. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო სახელმწიფოს გამგებლობაში მეტი ძალა-უფლებით არის აღჭურვილი. ამ უკანასკნელს შეუძლია, როგორც ეს „რუსკაია ვოლია"-ში აღნიშნა ბ-ნმა ტანმა, რამდენიმე წუთის განმავლობაში ტელეფონის საშუალებით დაითხოვოს დროებითი მთავრობა. ასეთ ყოფაში ძნელია ითქვას, რომ სახელმწიფო არ აფორიაქდება. სახელმწიფოს მესვეურობას მრავალი პირი არ ისურვებს. უბრალო საქმეც ფუჭდება მაშინ, როდესაც მას მრავალი განმკარგულებელი ყავს, მით უმეტეს მრავალ მბრძანებლისაგან საფრთხეში ვარდება სახელმწიფო.

როდესაც ნაპოლეონს შეეკითხა გენერალი ლოდენი, რათ დამარცხდა პარიზთან ჯარით, მან უპასუხა: „დამარცხდა იმიტომ, რომ მას სხვადასხვაგვარი გზის ამბნევი განკარგულებები მოსდიოდა". ასე ხდება დღეს რუსეთშიც. სახელმწიფოს ბევრი პატრონი გაუჩნდა. თითოეული მათგანი შეიძლება სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის თავდადებული იყოს, მაგრამ ეს არა კმარა. სახელმწიფოს ცხოვრების სიმტკიცის დასაცავად მიუცილებელია ერთი საგამგებლო ორგანო. ამ ორგანოში რევოლუცია შეიყვანს წარმომადგენლებს ყოველ წრიდან. ასეთ ორგანოს დაერქმევა კოალიციური მთავრობა, მაგრამ როგორც სჩანს ჯერჯერობით რევოლუცია ამ დასკვნამდე არ მისულა. ხალხი ისევ ქუჩაზეა და ყოველ დღე ახალ-ახალ ამბებს მოელის. ბევრს ლაპარაკობენ დროებითი მთავრობის გადადგომაზე. ამრიგად აშკარავდება რომ რევოლუციამ ჯერ კიდევ ბევრი ვაი-ვაგლახი უნდა გამოიაროს. სახელმწიფოს ცხოვრების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას ჯერ კიდევ დიდი ხანი მოუნდება. ასეთ დროს კი მთავრობა ან ცალმხრივი ან ორმაგი ყოვლად შეუწყნარებელია. სახელმწიფო უნდა განაგოს ყველა მიმდინარეობის ერთად შეთანხმებულმა ორგანომ. ეს უბრალო საანბანო ჭეშმარიტებაა. მთავრობა, როგორიც უნდა იყოს იგი, საჭიროა ნდობით და უფლებით იყოს აღჭურვილი. ოთხივე სათათბიროს წევრთა საზეიმო კრილობაზე ორატორებმა ეს აზრი გამოსთქვეს. რაც უფრო ადრე შეიგნებენ რევოლიუციური ძალები ამ აუცილებელ საჭიროებას, მით უფრო ადრე მიეცემა შველა სახელმწიფო საქმეებს.

თავისთავად დროებითი მთავრობის გადადგომა სახელმწიფოს ინტერესისთვის არაფერს ნიშნავს, თუ მის ადგილას სრულ უფლებით აღჭურვილი საერთო ნდობის მქონე კოლეგია არ შესდგა.

Dis

რუსული პრესა.

გაზეთ „უტრო როსიი"-ს სამხედრო კორესპონდენტი [illegible] აგვიწერს ახლად დანიშნულ არმიის უფროს გენ.-ლეიტ. ა. ა. ვესელოვსკისთან. უკანასკნელი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორი გავლენა მოახდინა ჯარზე შიგ შეტანილმა ცვლილებებმა. ეს კითხვა მისი აზრით საკმარისად რთულია და მასზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია. მაგრამ ჯარი მაინც საიმედოთ და სამშობლოს თავდაცვისათვის შეებრძოლება მტერს. ჯარი პოლიტიკურად მოუმზადებელი შეხვდა ამ რევოლუციას. თვით ოფიცერთა შემადგენლობაც კი. ამიტომ მისი აზრით დიდი მნიშვნელობა აქვს, საროტო და საპოლკო კომიტეტებს. ესენი დიდს როლს ითამაშებენ დისციპლინის აღდგენაში. დისციპლინის დარღვევას ა. ვესელოვსკი იმით ხსნის, რომ ჯარში ცუდი წარმოდგენა შეიტანეს მოპოებულ თავისუფლებაზე, რაც უთუოდ დროებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მთელი არევ-დარევა და დისციპლინის დარღვევა მხოლოდ პროვოკატორებისა და გერმანელთა აგენტების ბრალია. ამის გასწორება შეიძლება მხოლოდ მჭიდრო, მეგობრული კავშირით ამხანაგური დაახლოვებით ოფიცრებსა და ჯარის კაცთა შორის. კონტრ-რევოლუციური მოძრაობა ჯარში არც არის და არც მოსალოდნელია. მართალია, რამდენიმე პირი ჩაუფიქრდა მომხდარ ფაქტებს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ძველი რეჟიმის დაქცევა ეწყინათ, არამედ იმიტომ. რომ საგონებელში ჩავარდნენ, თუ რა რიგ კეთილად დაგვირგვინდება გარდაქმნის პერიოდი.

გენერლის აზრით, ჯარს არ დაჰკარგვია ბრძოლის უნარი. იმისდა მიუხედავად რომ ის თავისუფალი პიროვნება შეიქმნა, მას აღარ სჭირია მუჯლუგუნები ბრძოლაში გასასვლელად. ბრძოლაში იმარჯვებს თავისუფალი ხალხი უფრო ვინემ მონები რადგანაც თავისუფალმა პიროვნებამ, თუ ხალხმა იცის რისთვის იბრძვის და აღფრთოვანებითაც ეკვეთება მტერს?

ო მ ი.

კავკასიის ბრძოლისველი დიდ ხმაურობაშია. ოსმალნი ამ ჟამად წვრიმალნ შემოტევებით კმაყოფილდებიან, მაგრამ ამას ოსმალეთის სამხედრო ბანაკი სტრატეგიულ მოსაზრებით სჩადის. ოსმალოს ჯარს 1914 წლიდან ბევრი დამარცხებები აქვს ნაგემები. ამიტომ დღეს იგი სცდილობს მცირე რაზმებით აწარმოოს შემოტევა და მთავარი ძალა კი საფრთხე აშორებული და დასვენებულად იყოლიოს. ოსმალთა მოქმედება ამ ხანად ერძინჯანის რაიონში შემოტევითი ხასიათისაა. ერძინჯანის ხაზზე სდგას 40,000 რეგულიარი ჯარი და მოთარეშე ქურთთა რაზმები. რუსის ჯარი ამ მიდამოში 30 ათასს არ აღემატება. ძნელია თქმა იმისა, ოსმალთ ამ ადგილებში მოქმედებით მხოლოდ ერძინჯანი ჰქონდეთ მიზანში ამოღებული. ერძინჯანი სტრატეგიულად დიდს არაფერს წარმოადგენს. ოსმალთა ახლობელი მიზანი ხარფუთის და ტრაპიზონის გზების ხელში ჩაგდება უნდა იყოს, რომ ამ ზომით ზურგიდან მოუარონ ბითლის—მუშის რუსის საარიერგარდო ჯარს. რაც შეეხება სპარსეთში მეხინკინის მხრით ოსმალთა მოძრაობას, ესეც მესოპოტამიისკენ მიმავალ რუსის ჯარის დაბანდების სურვილით უნდა აიხსნას.

ოსმალეთის შტაბმა ანგარიში უნდა გაუწიოს მესოპოტამიის მდგომარეობასაც

სადაც რუსის ჯარი ყოველ დღე იმარჯვებს და მდ. ეფრატის ნაპირებზე პოზიციებს იკეთებს. დიდი კითხვაა, შესძლებს თუ არა ოსმალოს ჯარი მესოპოტამიაში მომქმედ რუსის ჯარის მოწყვეტას, რასაც იგი აპირებს ბერუთინის მხრით, თუ უკანასკნელი შეასრულებს დიდსა და ძნელ საქმეს და ინგლისის საექსპედიციო ჯარს სრულიად შეუერთდება. ევროპის ასპარეზებზე გადამწყვეტი მნიშვნელობის არაფერი ხდება.

რუსეთის დასავლეთის ასპარეზი გამოურკვეველ მდგომარეობაშია. მოწინააღმდეგის შტაბი მეტად ოსტატურად იქცევა და იქ, სადაც დიდ ბრძოლებს მოულოდენ, მზვერავთა მოქმედებით კმაყოფილდება.

ჯიხ.

რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

კერენსკის სიტყვა.

პეტროგრადი 22 აპრილი. ფრონტის დელეგატთა ყრილობაზე გუჩკოვის შემდეგ სიტყვას ამბობს კერენსკი. მე თქვენთან მოვედი, მისთვის კი არა, რომ მოგილოცოთ. ჩვენ დიდი ხანია, როცა თქვენ თხრილებში ისხედით თქვენი დიდი ტანჯვები, რასაც განიცდით ბრძოლის ველზე, შეიქნა ერთად ერთი მოტივი რუსეთის რევოლუციისა.

ერთად-ერთი ხსნა ჩვენი ქვეყნისა იქნება თუ ჩვენ პასუხს ვაგებთ თვითეულს ჩვენს სიტყვაზე და ჩვენს მოქმედებაზე. სახელმწიფოს ძალთა აღორძინების უკეთესი მიმდინარეობა დამოკიდებულია თავისუფლებაზე და თვითეულის პასუხის გებაზე.

საქმის წინსვლა აღარ შეიძლება და ამიტომ რუსეთის ხსნაც შეუძლებელია. ამის დანაშაული ძველს რეჟიმს მიეწერება. ამდენი ხნის მონობამ გარყვნა მთავრობა, შექმნა საგრძნობი ძალა იუდაგამცემლებისა.

გუჩკოვის განცხადება:

პეტროგრადი. 29 აპრილი. ფრონტის წარმომადგენელთა ყრილობის ტრიბუნაზე ადის გუჩკოვი და ამბობს: მე ვლაპარაკობ დღეს, არა, როგორც სამხედრო და საზღვაო საქმეთა მინისტრი, არამედ, როგორც უბრალო რუსი, როგორც წევრი სამხედრო ოჯახისა, რომელსაც ყველა თქვენგანი ეკუთვნის. გუშინ მე გავაფრთხილე დროებითი მთავრობა, რომ ჩემს ადგილზე დარჩენა აღარ შემიძლია. დღეს წერილობით ვაცნობე თ. დ. ლვოვს, რომ განმათავისუფლოს ჩემის მოვალეობისგან. იმისდა მიხედვით, რომ რუსეთში არ შემიძლია იმ პირობათა შეცვალა რომელიც დაღუპვას უქადის ჩვენი ჯარის თავდაცვითი ომის წარმოებას, ამიტომ აღარ შემიძლია ასრულება ჩემი რთული მოვალეობისა და გადავსწყვიტე ხელი ავიღო ჩემ თანამდებობაზე.

სრულიად რუსეთის გლეხთა საბჭოს მომწვევი ბიუროს მოწოდება.

სრულიად რუსეთის გლეხთა საბჭოს მომწვევი ბიურო მოუწოდებს რუსეთის მცხოვრებთ, რათა დაეხმარონ ჯარს პურის მიწოდების საქმეში. როგორც გამორკვეულია, ჯარი უპურობით აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება. საჭიროა ზომების მიღება ასეთი მოვლენის თავიდან ასაშორებლად.

მიწის კითხვა.

კიშინიოვი. 28 აპრილი. გლეხები ინაწილებენ მემამულეთა მიწებს, რომელიც ძალათ ჩამოართვეს მეპატრონეებს.

ყაზანი. 29 აპრილი, გაიხსნა ხელის მოწერა თავისუფალ სესხზე და 1 საათის განმავლობაში ხელი მოაწერეს ოთხ მილიონ ნახევარ მანეთზე.

დასავლეთის ასპარეზის მთავარსარდლის გენერალ ბრუსილოვის გადადგომა.

სამხედრო მინისტრის ამხანაგი იუწყება რომ გენერალ ბრუსილოვის თანამდებობიდან გადადგომა გამოწვეულია ხსენებულ გენერლის დიდი დაღლილობითა და უქეიფობით.

მსოფლიო ომი

(პ. დ. ს.)

მთავარი ბანაკის ცნობა.

დასავლეთის ასპარეზი.

ლონდონი. ოფიციალი. 30 აპრილი ჩვენ ვაწარმოებდით ძლიერ ოპერაციებს. ჰინდერბურგის ხაზით ჩვენ მტერზე მივიტანეთ იერიშები ბიულკურის მახლობლად. მთელი დღის განმავლობაში ბრძოლა ჩვენდა სასარგებლოდ სწარმოებდა. წამოვიყვანეთ მრავალი ტყვე. ღამის განმავლობაში ვაწარმოებდით კერძო ოპერაციებს. იპრის აღმოსავლეთით მოვახდინეთ მტერზე მოულოდნელი თავდასხმა. მტერი დაზარალდა.

პარიზი. 1 მაისი. ოფიციალი. გუშინ დღემა დღემ წყნარად განვლო. ქვეითა ჯარის მოქმედება არ ყოფილა.

ჩვენი არტილერია ძლიერად უშენდა მტრის სიმაგრეებს. გერმანელები გვიპასუხებდენ სუსტი საარტილერიო სროლით.

ჰავრი. 30 აპრილი. ბელგეთის ცნობა. მთელს ბრძოლის ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. დიქსმიუდეს მიმართულებით გაძლიერდა ბრძოლა ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებით.

ლონდონი. 30 აპრილი. ოფიციალი. ხდებოდა მზვერავთა მცირე შეტაკებები სენკანტენის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ლერგეს მახლობლად მტერი დავაზარალეთ. ზოგიერთ ადგილებში წინ წავიწიეთ.

გრილუბსკის მთის კალთებზე დავატყვევეთ რამდენიმე კაცი.

პარიზი. 30 აპრილი. ოფიციალი. არტილერია ორივე მხრიდან ძლიერად მოქმედებდა.

სომასა და უაზის შუა მდებარე ადგილებში, მდ. ენის ხაზით გერმანელებმა მოიტანეს გაძლიერებული იერიში. კრაპსკის მთიან ადგილებში და რეიმსის მიდამოებში მტრის ყველა იერიში მოგერებულ იქნა. მტერმა დიდი ზარალი ნახა.

ვერდენის მიდამოებში ჩვენ მოვახდინეთ ორი ძლიერი თავდასხმა მტრზე; დავიკავეთ მტრის თხრილები, წამოვიყვანეთ ტყვე გერმანელები. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში ღამემ წყნარად განვლო.

პარიზი. 30 აპრილი. ოფიციალი. აღმოსავლეთის ბრძოლის პირზე გაძლიერდა საარტილერიო მოქმედება. მტერი შეეცადა კონტრიერიშების მოტანას სერბიელებთ მიერ დაკავებულ პოზიციებზე. იერიშები მოგერებულ იქნა.

ლონდონი. 1 მაისი. ოფიციალი. 30 აპრილს ბიულეკურის აღმოსავლეთით მტერმა სცადა მთელი რიგი კონტრიერიშებისა მოეტანა ჩვენს თხრილებზე. იერიშები მოვიგერიეთ. ათი დღეა, რაც ავსტრიის ჯარი თავდაცვით ომს აწარმოებს. ბიულეკურის დიდი ნაწილი ჩვენ ხელთ არის.

პარიზი. 1 მაისი. ოფიციალი. მთელს ასპარეზზე ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლაა. უკუვაქციეთ მტრის მზვერავთა რაზმი, რომელიც სცდილობდა დაახლოვებოდა ჩვენს პოზიციებს. ვექსაველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით 108 მაღლობთან, და შამპანში ძლიერის ცეცხლის შემწეობით მოვიგერიეთ მტრის ყველა იერიში. მტრის ზარალი დიდია. წამოვიყვანეთ ტყვეები.

მფრინავთა მოქმედება.

ლონდონი. 1 მაისი. ოფიციალი. ბიულკურის მიდამოებში ჩამოვაგდეთ გერმანელების 5 ჰაეროპლანი. 6 ჰაეროპლანი მტრისა კი ვაიძულეთ ძირს დაშვებულიყო, ჩვენ დაგვეღუპა 6 აპარატი.

რომი. 29 აპრილი. ოფიციალი. მფრინავები მთელი დღის განმავლობაში ენერგიულად მოქმედებდა. ჩვენს მფრინავ რაზმს მტერმა ძლიერად დაუშინა.

პეტროგრადი. 30 აპრილი. ოფიციალი. რუმინეთის ასპარეზზე მფრინავებმა მოქმედება გააძლიერეს.

პეტროგრადი. 30 აპრილი. ოფიციალი. კავკასიის ასპარეზზე ილიბეკის მიდამოებში დაეშვა გერმანელების თვითმფრინავი. მფრინავები ტყვედ წამოვიყვანეთ. 3200 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა ჩვენი საჰაერო გემი ილია მურომეცი. დაიღუპა გემის უფროსი ლავროვი და 4 ოფიცერი. მიზეზი გემის ჩამოვარდნისა გამოურკვეველია.

სტანისლავოვის მიდამოებში, ჩამოვარდა ჩვენი ერთი თვითმფრინავი. დაიღუპენ მფრინავები პრაპორშჩიკი კაჩიონი და პორუჩიკი პესინი.

ჰავრი. 30 აპრილი. ოფიციალი. ჩამოვაგდეთ გერმანელების ჰაეროპლანი, ხიურტილეტის ტყის მახლობლად.

კავკასიის ასპარეზი.

პეტროგრადი. 30 აპრილი. ოფიციალი. გიუმიშხანის სამხრეთ-დასავლეთით ოსმალების ერთი რაზმი სცდილობდა იერიში მოეტანა ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ მოვიგერიეთ.

პეტროგრადი. 1 მაისი. ოფიციალი. ბრეზინჯანის სამხრეთით კედერკამის მთასთან ჩვენი ერთი რაზმი შეავიწროეს ქურთებმა. ქურთების ცდა ერძინჯანის სამხრეთ აღმოსავლეთით, თავს დაგვესხმოდენ, უნაყოფო გამოდგა.

ოსმალები გაემართენ დიალის სამხრეთ ნაპირით.

მესოპოტამიაში.

ლონდონი. 29 აპრილი. ოფიციალი. საყურადღებო არაფერია, მხოლოდ ჩვენ მიერ წარმოებულ ოპერაციების საშუალებით რამდენიმე ადგილას წინ წავიწიეთ. მტერი ვაიძულეთ უკან დაეხია ბაღდათის ჩრდილო დასავლეთით 60-დან 80 მილის სიგძეზე.

იტალიეთის ასპარეზი.

რომი. 29 აპრილი. ოფიციალი. ბრძოლის ასპარეზზე ღამის განმავლობაში ხდებოდა ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლა. ბრძოლამ ინტესიური ხასიათი მიიღო გასულ ღამით.

რუმინეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 30 აპრილი ოფიციალი. სროლა და მზვერავთა მოქმედება.

(პ. დ. ს.)

სამხედრო და საზღვაო მინისტრი გუჩკოვი თანამდებობიდან გადადგა.

ახალი ამბავი

2 მაისს საღ. 8 საათზე რეალურ სასწავლებლის დარბაზში ლაზარე ხმალაძის თავჯდომარეობით მოხდა სამთო უბნის რაიონის სასურსათო კომიტეტის წევრთა კრება, პრეზიდიუმის ასარჩევათ. ხმის უმეტესობით აირჩიეს თავჯ. იარ. გძელიძე, ამხანაგათ ნინო ბადრიძისა და მდივნათ აკაკი ნიშნიანიძე თანახმათ კრების დადგენილებისა კომიტეტის კრება მოხდება რეალური სასწავლებლის შენობაში ყოველ კვირაობით საღ. 7საათ.

◆ მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორად პროფ. ლიუბავსკის მაგივრად არჩეულ იქმნა პროფესორი მენზბირი, რომელიც კასსოს ვაჟკარგულებით მანუილოვთან ერთად იქნა გაძევებული 1911 წელს.

◆ უკანასკნელ ხანებში ქუთაისში გრილი ამინდები დაიჭირა.

◆ გამოჩენილი მსახიობი ქალი სარა ბერნარი მძიმე ავად გამხდარა მორჩენის იმედი არა ჰქონიათ.

◆ **ს. სვირის აკლება.** ქუთ. აღმასრულებელ კომიტეტს მაზრის კომისარისგან ცნობა მოუვიდა, რომ 30 აპრილს რკინის გზით მიმავალმა ყაზახთა ეშელონმა ააწიოკა სვირის მცხოვრებნი და აიკლო სავაჭროები. მაზრის კომისარის ცნობით ყაზახები ეკუთვნოდენ მე-16 და 17 სათადარიგო პოლკებს. აღმასრულებელმა კომიტეტმა მე-16 და 17 პოლკის უფროსებს საჩივარი გაუგზავნა.

◆ ნოქალაქევის აღმასრულებელმა კომიტეტმა სთხოვა ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს, რომ დეზერტირების დაბრუნების ვადა 1 ივნისამდე გაგრძელდესო აღმასრულებელმა კომიტეტმა თხოვნა არ შეიწყნარა და შეატყობინა ნოქალაქევის კომიტეტს, რომ 15 მაისამდე ყველა დეზერტირი უნდა დაბრუნდესო.

◆ **სტუდენტების დადგენილება:** ოდესაში 20 აპრილს სისრულეში იქნა მოყვანილი დადგენილება სტუდენტებისა და კურსისტ ქალებისა, რათა შესწყვეტილიყო სწავლაც და გამოცხადებაც. სტუდენტებიც და კურსისტი ქალებიც უკვე გაემგზავრენ სოფლებში პოლიტიკური პროპაგანდისათვის

მედიკი ქალები წავიდნენ ეპიდემიებთან საბრძოლველად. ეგზამენები შემოდგომისათვის გადაიდო.

◆ გუშინ წინ თამარობის დღესასწაულის გამო ჩვენი გაზეთი არ გამოსულა.

◆ ქალაქში დაჟინებითი ხმები დადის, თითქოს სამინისტრო კაბინეტი მთელის შემადგენლობით, კერენსკის გარდა, სამსახურიდან გადამდგარიყოს.

◆ **მილიციის შესახებ.** აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა კითხვა მილიციელების დანიშვნის შესახებ. აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ილია ჩიქოვანი აღნიშნავდა რომ მილიციელებათ უნდა ინიშნებოდენ მხოლოდ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი. ჯარის კაცნი, რომელნიც ბრძოლის ველზე ყოფილან და ამ ჟამად ზურგს უკან იმყოფებიან.

ამ კითხვის საბოლოო გადაჭრა შემდეგი სხდომისთვის გადაიდო.

◆ **ქურდობა.** ქუთაისში ძლიერ გახშირდა ქურდობა. 1 მაისს ბალახვანის ქუჩაზე მცხოვრების ივ. დევიძის ბინა გაქურდეს. წაღებულია შინაური ავეჯეულობა ღირებული 220 მან.

◆ **რეალურ სასწავლებელში** გამართულია ჯარის კაცთა გასაგზავნად სხვა და სხვა საჩუქრების მიღება. საჩუქრებს ღებულობენ ყოველ დღე საღამოს 5 საათიდან.

◆ **წესდება.** საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისგან მიიღო სამოქმედო წესდება.

◆ **„თავისუფლების სესხი“**ს საქმისთვის ჯარის კაცთა აღმასრულებელმა კომიტეტმა აირჩია გეგელაშვილი.

◆ **1000 მან. გადადება.** შავი ქვის მრეწველთა საბჭომ ათასი მანეთი გადასდო ჭიათურის მუშათა საბჭოს დასახმარებლად.

◆ **ღვინით ვაჭრობის კითხვა.** ქუთაი

ცოტა რამ სადღეისოდ.

ადამიანი თუ დიდი მეოცნებე და მებრძოლი არ არის პირადი სარგებლობა და თუ გნებავთ, უბრალო ალღოც-კი თავის დაცვისა მოითხოვს, რომ მიეკედლოთ ისეთს ჯგუფს, ისეთს წრეს, რომელსაც ხელში უჭირავს ძალა-უფლება, განაგებს ქვეყანას და ხელმწიფობს მდგომარეობას.

მაშინ შენი პირადობა დაცული იქნება ყოველგვარ შეურაცხყოფისაგან და, თუ ცოტაოდენი ნიჭი, გამბედაობა და მოხერხებაცა გაქვს, შეიძლება აცოცდე კიდეც ცხოვრების მეჯლიშის უმაღლეს საფეხურამდე და, „სუფრასა თავსა მჯდომარე“, გახდე ხელმძღვანელად თანამოაზრეთა, გზის მაჩვენებლად, მასსისა, მბრძანებელად ბრბოისა.

ასე იყო წინად, ასეა დღესაც, ასე იქნება მომავალშიაც, ვიდრე ბრბო ბრბოდ დარჩება და პირადი სარგებლობა—პირად სარგებლობად!

ეს არის ცხოველური ანუ, თუ შეიძლება ასე ითქვას—ბიოლოგიური მხარე ჩვენის მიწიერ ცხოვრებისა,—ვინაიდგან ადამიანიც იძულებულია იბრძოლოს სიცოცხლის შერჩენისათვის.

მაგრამ ბრძოლაც არის და ბრძოლაც!

პირველ ხანებში, იმ დროს, როცა ადამიანი ველური და პირუტყვი იყო, როცა იგი ტყე-ველად დამთაბარობდა, ისევე იბრძოდა თავის გამოკვებისათვის, როგორც იბრძვიან ახლა მგლები და ტურები. კუჭი იყო მისი ღმერთი და ბუნება მისი მბრძანებელი!

მაგრამ გავიდა დრო. ადამიანი წელში გასწორდა, შეხედა ვარსკვლავებით მოჭედილ, ლურჯად მოკაშკაშე ცას და ალტაცებით ენა ამოიდგა, გადახედა თვალ-უწვდენელ სივრცეს სამყაროისას და სიმღერა შემოსძახა, შეხვდა თავის მსგავს მეორე სქესის არსებას და გულმა სიამოვნებით ძგერა დაუწყო.

ჩაისახა პირველი სიყვარული, პირველი ოჯახი. ოჯახი გადაიქცა გვარად, გვარი თემად, თემი—ტომად, ტომები—სახელმწიფოდ, სახელმწიფოები—კაცობრიობად.

გაჩნდა სიტყვიერება, მუსიკა, პოეზია, მხატვრობა, რელიგია, ფილოსოფია, მეცნიერება, ტეხნიკა. გაჩნდა სიყვარული, იდეალი, სურვილი ღმერთად ქცევისა, მოძმისათვის თავგანწირვისა, მთელის ქვეყნის სამოთხედ გარდაქმნისა.

„პიროვნება—ინდივიდუუმი ბიოლოგიური კატეგორია—იქცა ეროვნებად—ისტორიულ კატეგორიად“ (გ. პლეხანოვის სიტყვებია). პირადი სარგებლობა—ცხოველური მხარე ადამიანისა დაენაცვლა საზოგადოებრივ—სოციალ მხარეს, ეგოიზმი („მე ვარ და ჩემი ნაბადი“) შეიცვალა ალტრუიზმით („შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე“), „მე“ გადაიქცა „ჩვენ“ ად. კუჭი და ქვენაგრძნობანი დაემორჩილენ გონებასა და ზენაგრძნობათ.

აქ თავდება მხეცობა გონიერის არსებისა და იწყობა ადამიანობა ოდესღაც მხეცისა. (პირველ ყოფილ, ველური კაცისა.)

ჩემის აზრით, აქვე უნდა თავდებოდეს უპირატესობა მატერიალისტურის თვალსაზრისისა იდიალურზე, მაგრამ იდეალისტობა ხვედრია მხოლოდ რჩეულთა, გულისთქმაა, მისწრაფებაა მხოლოდ მეოცნებეთა, უმრავლესობა, ხალხი, ბრბო კი კვლავ მიკრულა მიწაზე, ვინაიდგან ბრბო იგი დამონებული და გაოგნებულია ამა ქვეყნის ძლიერთაგან, ესე იგი იმათგან ვინც დროთა განმავლობაში ხელში ჩაიგდო სიმდიდრე მთელის ქვეყნისა, და მასსა-კი გაიხადა ყურმოჭრილ მონად, ვინც ხელში მოიგდო უფლება კანონმდებლობისა, ხალხის სიკვდილ-სიცოცხლის გადაწყვეტისა, თვითმპყრობელობისა, ვინც დააჯდა ხალხს ზურგზე და ხალხი იგი-კი გაიხადა თავის სახვედრად, ვინც ჩაჰკლა იდეალი, აღმაფრენა ადამიანისა და გააშეფა მუცლით ხოხვა ქვეშევრდომისა!...

როგორ მოხდა ეს, სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ვინაიდგან ყველას გვახსოვს, რუსეთის ძველი წესწყობილება, მისი ისტორია, ყველას გვახსოვს, თუ როგორ გვწუწნიდა სისხლს ჯერ ისევ გუშინ ნიკოლოზ რომანოვი თავისის დამქაშებით.

ამისთანა პირობებში, რასაკვირველია მართალია ის, ვინც ამბობს: მდგომარეობა ჰქმნის შეგნებასო.

ვიდრე მთელი რუსეთი არ ჩავარდა ისეთ მდგომარეობაში, რომ რასპუტინი უნდა გამხდარიყო მისი მბრძანებელი, ვიდრე მთელი რუსეთის ჯარსა და მშრომელ ხალხს შიმშილით მუცელმა წვილი არ დაუწყო, მანამდე ვერ შეირხა ბუმბერაზი რუსეთი, რათა ზურგიდან გადმოეყარა ის მატლები, რომლებიც ტვინსა სწოვდენ და გულს უღრღნიდენ მას!..

მაგრამ ხალხის ცხოვრებაში არის ხოლმე ისეთი მომენტებიც, ისეთი წუთებიც, როდესაც შეგნება ჰქმნის მდგომარეობას, და ეს დრო არის დრო რევოლუციისა, დრო ხალხთა აჯანყებისა, დრო ხალხის გულისწყრომისა, დრო ძველის დანგრევისა და ახალის აშენებისა.

ამ დროს, შესმენილი უანგარო და მხოლოდ ხალხის სამსახურით აღგზნებული შეგნებული პიროვნება მოვალეა უკუ აგდოს ყოველივე სურვილი გაბატონებისა, დემაგოგობისა და ისე წამართოს საჭე ხალხთა ატეხის ხომალდისა, რომ იგი არ დაამსხვრიოს...

რევოლუცია ორლესული იარაღია. შეუძლია ხალხის საუკუნოდ გაბედნიერებაც და ხალხის სამუდამოთ დაღუპვაც. და ამ ორლესული იარაღის ხმარების დროს მხოლოდ შეგნებას მიჰყავს ხალხი ბედნიერმდგომარეობამდე, ვინაიდგან რევოლუციის დროს მდგომარეობა არეულია და მარტო ჰკვიანი ხელმძღვანელი და მოქმედებს.

მაგალითად, მილიუკოვის ნოტის შემდეგ, იმ მილიუკოვისა, რომელიც დღესაც ოცნებობს სტამბოლისა და მის სრუტეების დაპყრობაზე, რუსეთს რომ ჰკვიანი ხელმძღვანელი არა ჰყოლოდა, როგორიც აღმოჩნდა იმ დღეს მუშათა და ჯარის კაცების დეპუტატთა საბჭო ქართველების—კარლო ჩხეიძისა და კაკი წერეთლის—მეთაურობით, დღეს რუსეთში სამოქალაქო ომი იქნებოდა, და, ვინ იცის რა ბედნიერი დღე გაუთენდებოდათ რუსეთის მოხელე-ჩინოვნიკებად ნამყოფებს.

ნუ გგონიათ ბატონებო, რომ ძაღლის კუდი ასე მალე გასწორდეს. კალაპოტში, როგორც ვითომდა გასწორდა უმრავლესობა მოხელეებისა, რომლებიც უცბად ჩვენებურ მემარცხენე და რევოლუციურ პარტიაში ჩაეწერენ წევრებად.

შენიშნულია, რომ როცა გემი იღუპება ხოლმე, ყველაზე უწინ ვირთხები გარბიან თავის საშველად.

ჩვენს ქვეყანაში მყოფი რუსეთის ბიუროკრატიული ვირთხებიც კარგადა გრძნობენ, რომ გემი მათი დაიღუპა და თავი შეაფარეს ისეთ მემარცხენე პარტიას, რომელიც ამ ჟამად ტაქტიკურისა თუ პარ[illegible]ლის მოსაზრებით სცდილობს სრულიად რუსეთის რევოლუციის გაღრმავებას.

რევოლუციის „გაღრმავება“ ყველას თავისებურად ესმის მაგრამ ახლა დრო არ არის ამაზე ბაქრობისა.

ვიტყვი მხოლოდ, რომ რუსეთის რევოლუცია არ არის მარტო რუსების—(ველიკოროსების) მიერ დაწყებული საქმე.

რუსეთში ბევრი სხვა ეროვნებაც სცხოვრობს და თუ ვისმე დაემადლების ეს მოვლენა, მადლობის ღირსნი არიან უფრო ეს სხვა ეროვნებანი.

არც ერთი ცოტად თუ ბევრად ცნობილი ერი—შემავალი რუსეთის სახელმწიფოში უმონაწილეო არ არის ამ განმათავისუფლებელ მოძრაობისა და როგორც ასეთს სრული უფლებაცა აქვს საერთო

სის აღმასრულებელმა კომიტეტმა უწესოების ასაცილებლად აკრძალა სასადილოებში ღვინის გაყიდვა.

მაგრამ, როგორც გამოირკვა ზოგიერთი მიკიტანი ღვინოს ჩუმად ჰყიდის, რის გამო ქალაქში კვლავ გაჩნდენ შეზარხოშებული პირები, რომლებიც უწესოებას ახდენენ.

◆ **გამოფხიზლების შედეგი.** სოფელ გოჩა ჯიხაიშის მცხოვრებლებმა საზოგადო ყრილობაზე ერთხმათ დაადგინეს—მოსპონ დღესასწაული ამაღლება, როგორც მავნებელი ჩვეულება ხარჯისა და არა სასურველი შედეგების მხრივ. ამიტომ კუხის საზოგადოების დროებით აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს ყრილობის ასეთ გადაწყვეტილებას მახლობელ სოფლების საყურადღებოდ დაუპატიჟებელ სტუმრების თავიდგან ასაცილებლათ.

ეს მაგალითი მისაბაძია 16 კათათვისაც.

◆ **სამხედრო ლაზარეთი ქუთაისში.** ბ-ნმა ე. გეგეჭკორმა ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს აცნობა კავკასიის კომისარიატის წევრის ხარლამოვის თხოვნა, რომ ქუთაისში მოეწყოს 5000 დაჭრილ მეომართათვის ლაზარეთი. აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მიიღო და აირჩია ცალკე სალაზარეთო კომისია, რომელშიც შედიან: გრ. ბარათაშვილი, დ. ლორთქიფანიძე, და ქიქოძე.

◆ **ჟანდარმების ფრონტზე გაგზავნა.** სამხედრო უფროსი აღმასრულებელ კომიტეტს შეეკითხა, ხომ არაფერი ექნება საწინააღმდეგო ყოფილ ჟანდარმების მედკოს და ვიჩენკოს ბრძოლის ველზე გაგზავნის შესახებ. აღმასრულებელმა კომიტეტმა ეს კითხვა განსახილველად მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს გადაცა.

პროვინცია

◆ შორაპნის სამაზრო აგრანომმა რ. გედევანიშვილმა დ. ზესტაფონში მყოფ ჯარის უფროსიდან იშოვნა 240 ცხენი, რომელთა შემწეობით უნდა დახნას ყველა დარჩენილი სახნავი ადგილები შორაპნის მაზრაში.

◆ მოკლე ხანში თბილისში გამოვა საგლეხო გაზეთი ქართულ, თათრულ, რუსულსა და სომხურს ენაზედ.

◆ რუს სამღვდელოების აღმასრულებელ კომიტეტს პროტესტი განუცხადებია „საქართველო“სა და „ვოზროჟდენიე“სათვის ვითომდა არქიეპისკოპოს ყოფილ ექზარხის პლატონის გაზეთის ფურცლებზე შეურაცყოფისათვის.

პარტიის ცხოვრებიდან.

სრულიად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული მოსწავლე ახალგაზრდობის კონფერენცია.

სრულიად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოსწავლე ახალგაზრდობის კონფერენციის წინასწარი სათათბირო კრება გაიხსნა 25 აპრ. საღამოს სრულ 5 საათზე ქართული გიმნაზიის დარბაზში; დაესწრო 39 დელეგატი, გარდა ამისა იყო. დეპეშები სხვა და სხვა კუთხიდან, ხადაც გვატყობინებდენ კონფერენციაზე სურვილების წინააღმდეგ დაუსწრებლობას და გვთხოვენ გადადებას. მაგრამ კრებამ ეს შეუძლებლათ სცნო. წინასწარი თათბირის კრების თავმჯდომარემ, ამხანაგმა კ. მ მა, კრებას განუმარტა მიზეზი და მიზანი კონფერენციის მოწვევისა. წამოაყენეს კონფერენციის გასარჩევი საკითხები და გადასცეს კომისიას დასალაგებლათ და სისტემაში მოსაყვანათ. გადასწყდა კრება დღეში ერთჯერ ყოფილიყო და არა დელეგატები კონფერენციას არ დასწრებოდენ. დასასრულ კრებამ კონფერენციის მუდმივ თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩია ამხანაგი მ. ხ. მის ამხანაგად ნ. დ. მდივნებათ ს. ხ. და თ. კ-ის ასული ხოლო კანდიდატათ კ. ვ. კრება დაიხურა ღამის 12 საათზე.

მეორე დღეს, დღის 3 საათზე კონფერენცია გახსნა ამ მა მ. ხ. რომელმაც მოკლე, მაგრამ მეტათ შინაარსიანი სიტყვით მიმართა კრებას. კრების სურვილი სამებრ იწყება მოხსენებები დელეგატებისა მათ მიერ რწმუნებულ ადგილებში უშაობისა და საქმის მდგომარეობის შესახებ. ამას შემდეგ კრება გადადის მორიგ საკითხის გასარჩევათ. პირველ რიგში დასმულმა საკითხმა სკოლების ნაციონალიზაციამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია კამათი იმის გარშემო იყო, რომ ნაციონალიზაცია დღეს-დღეობით, სანამ ქართული ენა სახელმწიფო ენათ არ არის აღიარებული საქართველოში, სასურველ ნაყოფს მოიტანს თუ არა? მაგრამ რადგანაც ეს საკითხი მჭიდროთ დაკავშირეული იყო შემდეგ მორიგ საკითხთან: ავტონომიის სტატუტთან, ამიტომ კრებამ სასურველათ სცნო მისი გარჩევა ავტონომიის სტატუტის გარჩევის შემდეგ. ავტონომიის სტატუტის შესახებ დასაბუთებულ მოხსენებას კითხულობს ამ-გი კ. მ-ლი. რომელიც 2 საათს გრძელდება. ამ საკითხის გარშემო არსებითად აზრთა სხვა და სხვაობა არ ყოფილა, მხოლოდ მოხსენების ზოგიერთ მუხლებში იყო განსხვავება, მაგრამ დასასრულ კრებამ მიიღო მომხსენებელის აზრი, სულ მცირე შესწორებით. პარტიულ დისციპლინაზე საუბარის შემდეგ კრება გადადის საკითხზე: ჩვენი მოქმედების გეგმა მომავალში. ამ საკითხზე მოხსენებას კითხულობს ამხანაგი ს. ხ ა. მომხსენებელის აზრს არ იზიარებენ ზოგიერთები ასე რომ ამ საკითხის გარშემო ჩნდება ორი მიმდინარეობა, მაგრამ ამხანაგი კ. მ. განმარტების შემდეგ კრება სწყვეტს ამ საგანზე საუბარს და ერთხმათ ღებულობს. განხილულ იქნა აგრეთვე პროგრამის ზოგიერთი მუხლები: ა) აგრარული საკითხი, ბ) პოლიტიკური საგანი, ე) ავტოკეფალიის საკითხი კრება შეეხო აგრეთვე ეროვნული ბურჟუაზიის პროტექციონიზმის საკითხს.

„ჩვენი დამოკიდებულება ერებთან“-ამ საკითხზე მოხსენებას კითხულობს გრ. ხ-ა. მოხსენებას დიდი კამათი არ გამოუწვევია ხოლო ამ საკითხზე კრებამ უკამათოთ მიიღო ერთ-ერთი ამხანაგის მიერ წამოყენებული რეზოლუცია.

30 აპრილს დღის პირველ საათზე ყველა საკითხები ამოიწურა და თავმჯდომარემ გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა კრებას, რომელმაც დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. კონფერენციის სხდომები გათავდა კვირას, 30 აპრ. დღის პირველის ნახევარ საათზე.

საერთოდ კრებები მშვენიერსა და სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა. დელეგატები საკითხების გარჩევაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ და სიცოცხლე და სიამოვნება შექონდათ. კრებები იწყებოდა დღის სრულ სამ საათზე და გრძელდებოდა ღამის პირველ საათამდის, ე. ი. სხდომები ყოველ-დღიურათ გრძელდებოდა 10 საათს. კონფერენცია კი გაგრძელდა ხუთ დღეს და ამდენი ხნის განმავლობაში მთელი შემადგენლობა კონფერენციისა ენერგიულათ მუშაობდა და ერთ წუთს დაღალვაც არ უგრძნია.

ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაში

დ. ჭიათურა. 23 წარსულ აპრილს დ. ჭიათურაში შესდგა საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ინჟინერი ბ ნი ბარნაბა პაპავა, მის ამხანაგად ალ. გრიგოლაშვილი. წევრებად ილ. ბერიძე, კოწია ყიფიანი და ბესარიონ ვაშაძე.

ეროვნული კითხვა.

ბელორუს სოციალისტების ყრილობა.

23 მარტს ქ. მინსკში შესდგა ყრილობა ბელორუსეთის სოციალისტურ გრომადისა, სადაც მიიღეს შემდეგი რეზოლუცია:

1) რადგან ძველ რეჟიმთან ბრძოლა ჯერ სულ არ გათავებულა, ამიტომ კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია დროებით მთავრობას დაეხმაროს ახალი წესწყობილების დამყარებაში.

2) ამასთანავე ყრილობას საჭიროდ მიაჩნია ენერგიული მზადება დამფუძნებელ კრებისთვის. ქადაგება ფედერატიულ რესპუბლიკისა და ბელორუსიის ავტონომიისა. მიწები საზოგადო კუთვნილებად უნდა გადაიქცეს. შემოღებულ უნდა იქნეს 8 საათის სამუშაო დღე, ხელფასის მინიმუმი, ყველა ეროვნებათა უფლებრივი გათანასწორება და სხვა.

3) პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ უნდა სათავეშივე ჩაჰკლან რეაქციონური მისწრაფებანი, რისთვისაც საჭიროა მათი კლასიურად შეკავშირება, რათა ბელორუსიის სოციალისტების პროგრამა მინიმუმი განხორციელებულ იქნას.

4) ახლანდელი ომი არის რევოლუციონურ რუსეთის ომი გერმანიის მილიტარიზმთან. მაგრამ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ბრძოლა ანექსია კონტრიბუციის წინააღმდეგ, რადგან ანექსიის და კონტრიბუციის შემდეგ ჩამოგდებული ზავი მკვიდრი ვერ იქნება.

5) აგრარულ საკითხში კონფერენცია პრინციპიალურად მომხრეა, რომ მიწა გადაეცეს მიწის მუშას. ხოლო საბოლოოდ გადაწყვეტა ამ საკითხისა და მიწის საქმის მოგვარება უნდა დაევალოს ბელორუსიის ავტონომიურ სეიმს. ამავე დროს ყრილობა ჰგმობს ცალკე ორგანიზაციოთ ანარქისტულ გამოსვლებს.

6) ყრილობა აღიარებს ბელორუსიის ავტონომიას და რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკას. ხოლო საჭიროდ მიაჩნია გამოარკვიოს საზღვრები ბელორუსიისა მეზობელ ერებთან: ლიტველებთან, ველიკოროსებთან, უკრაინელებთან და სხვ. შეთანხმებით.

7) ყრილობა სიხარულით აღნიშნავს რუსეთის სოციალისტურ პარტიათა მიერ გამოთქმულ სურვილის შეთანხმებისას და მოკლე დროში ამ საკითხზე მსჯელობა ექნება.

8) ყრილობა მოუწოდებს თავის წევრებს საორგანიზაციო მუშაობისთვის და პროლეტარიატისა და მშრომელ გლეხობის კავშირების შექმნისათვის. ყრილობის თავმჯდომარის მაგივრად დ. ჟილუნოვიჩი.

ქართველ კათოლიკეთა კითხვა.

ქართველ კათოლიკეთა დელეგატების კრების გახსნის დღეს, 27 აპრილს, დილის ათ საათზე თბილისში გადახდილ იქმნა სადღესასწაულო წირვა და ლიტურგია. წირვას დაესწრენ კათალიკოსის მოსაყდრე ეპისკოპოსი ლეონიდე, ეპისკოპოსი ანტონი, ეპისკ. პიმი და სხვა სამღვდელოება, მრავალი ხალხი და დელეგატები სხვა და სხვა ადგილებიდან. წირვის დროს შესრულებული იქნა ქართულად „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“ მუსიკით ბ-ნ ზ. ფალიაშვილის მეთაურობით. გალობამ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა მლოცველებზე. წირვა შეასრულა მამა დონ მიხაილ ანტონაშვილმა, რომელსაც [illegible] მღვდელი ეხმარებოდა წირვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მამა ანსელომ მღებრიშვილმა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე. წირვის შემდეგ მართლმადიდებელი სამღვდელოება ლეონიდის მეთაურობით და სხვები მიწვეულ იქმნენ სკოლის დარბაზში, სადაც ეპისკოპოსმა ლეონიდემ, სამღვდელოებამ და დელეგატებმა წარმოსთქვეს სიტყვები და მიულოცეს ერთმანეთს. მილოცვის დროს ის აზრი გამოსთქვეს, რომ ახლა, როგორც მართლმადიდებელ, ისე ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებს ხელს აღარავინ შეუშლის, თავის სამშობლო ენაზე შეასრულოს წირვა ლოცვა და ადიდოს ღმერთი. გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელმა ბ. კარუმიძემ და მოუწოდა ქართველ კათოლიკეთ, როგორც ეროვნობით ქართველებს სხვა ქართველებთან ხელი ხელ ჩაკიდულებმა ძმურათ იმოქმედონ. ამით დასრულდა დღესასწაული, შემდეგ, იმ დღესვე მოწვეული იყო ნაშუადღევის ოთხ საათზე ქართველ კათოლიკეთა დელეგატების დახურული კრება. პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ წამოყენებული იქნა სამი კითხვა 1) აღდგენა **ქართველ კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრის** თბილისში. 2) საეპისკოპოსო კანდიდატების დასახელება 3) ტიპიკონის (წირვის რიგის) შემუშავება. საეპისკოპოზო კანდიდატებათ დაასახელეს 1) დონ მიხაილ ანტონაშვილი (მიიღო 12 ხმა) 2) პატრი ლაზარე გოზალაშვილი (თბილისი, მიიღო 8 ხმა) 3) დონ დამიანე სააკაშვილი (ქუთაისი, მიიღო 6 ხმა).

დახურული კენჭის ყრით პირველ კანდიდატათ საეპისკოპოსო კათედრაზე არჩეულ იქმნა მამა დონ მიხაილი ანტონაშვილი. მეორე კანდიდატათ არჩეულ იქმნა მამა ლ. გოზალაშვილი (19 ხმა) ხოლო დონ დამიანემ მიიღო 12 ხმა. შემდეგ დიდი ბაასი გამოიწვია ტიბიკონის შემუშავებამ. დაადგინეს გადაითარგმნოს ლათინური წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე და ეთხოვოს რომის პაპს, რომ ნება დართოს ამ დადგენილებას, რისთვისაც არჩეულ იქმნებიან საგანგებო დელეგატები ვრცელი მოხსენებით რომის პაპთან წასარდგენათ ომის შემდეგ. სხვათა შორის, სომხის კათოლიკეებმა ეროვნობით ქართველებმა, რომელნიც ძალათ არიან ჩარიცხულნი სომხათ, ერთხმათ აღიარეს გადასვლა რომის კათოლიკობაზე უარჰყვეს სომხური წირვა-ლოცვა და შეურთდენ ზემოხსენებულს დადგენილებას. კრება დასრულდა ღამის 12 საათზე.

P. s. ქუთაისის დელეგატების მონდობილობით მადლობას ვუძღვნი ქუთაისის ქართველ კათოლიკეთა სამრევლო კრებას, რომელმაც [illegible] ნდობა გამოუცხადა ბ. ბენიამინ ქუროთოშვილს, სტეფანე ოცხელს, ივანე გაიუსტოვს დაივანე ჩინჩალიშვილს. ზემოხსენებულნი პირნი მოკლებულნი იყვნენ საშუალებას თავის დროზე გადაეხადნათ მადლობა კრებისათვის, რადგან უკანასკნელ ქუთაისის სამრევლო კრებაზე სამწუხაროდ მღელვარება ეტყობოდა ხალხს და უწესობაც მოხდა.

დამსწრე.

უხერხული მდგომარეობა.

დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა მთავარმა გამგეობამ სოფლის მასწავლებლებს მოგვაწოდა სია სახალხო სკოლის ინსპექტორებისა. ეს სია, როგორც სჩანს საშა ბერეკაშვილის წერილიდან („ჩვ. მეგობარი“ № 336) შედგენილია პარტიათა შეთანხმებით. ყველა პარტიას წარმოუდგენია ნდობით აღჭურვილი პირნი და ღირსი იმ თანამდებობისა, რომელსაც მათ გამგეობა ავალებს. ეს რასაკვირველია, ექვს გარეშეა და ასეც უნდა ყოფილიყო, და ჩვენც სრულს ნდობას ვუცხადებთ გამგეობას. მხოლოთ ერთი რამ არის ამ დროის შეუფერებელი და ყოვლად უხერხული. თუ ყოველი არჩევნები დემოკრატიულ პრინციპებზე უნდა იყოს დამყარებული—მაშინ ეს პრინციპი არჩევნებისა მე დარღვეულად მიმაჩნია.

ეს არჩევნები გამგეობის მიერ მოხდენილი იგივე დანიშვნაა ზევიდან, როგორიც ხდებოდა ძველი რეჟიმის დროს მხოლოდ იმ განსხვავებით რომ, უწინ რუდოლფები ნიშნავდენ და ეხლა კი გამგეობა.

ჩემის შეხედულობით უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ გამგეობას დაესახელებია რამოდენიმე პირი მოკლეთ გაეცნო პრესის საშვალებით მათი პედაგოგიური წარსული მოღვაწეობა და ამით ჩვენ საშვალება გვექნებოდა აგვერჩია ის, ვინც უფრო საიმედო იქნებოდა შკოლებისთვის ეხლა კი, სია ინსპექტორებისა, შედგენილი პარტიათა შეთანხმებით, გინდა თუ არა, უნდა მიიღო. ეს არის ძველებური დანიშვნა და ამის გამო მე სიას უარსვყოფ არა იმიტომ, ვითომ მე იქ დასახელებულ პირთ არ ვთვლიდე ღირსად სახალხო ინსპექტორობაზე, არამედ არჩევნების პრინციპის დარღვევისათვის. გამგეობას როგორც სჩანს საზოგადო კრებისგან ქონია მინდობილი ინსპექტორების არჩევა. ჩემის აზრით გამგეობას ეს მინდობილება არ უნდა მიეღო თავის თავზე, როგორც დემოკრატიული არჩევნების უარყოფა.

რაიცა შეეხება დირექტორების კანდიდატებს, პარტიათა შორის შეთანხმება არ მომხდარა. ნაციონალ-დემოკრატებს არ წარმოუდგენიათ თავის კანდიდატი—არის მხოლოდ ორი კანდიდატი ერთი სოციალდემოკრატების და რევოლუციონერებისა ბ. ლეო ნათაძე და მეორე—ფედერალისტებისა ბ. სილოვან ხუნდაძე.

აქაც ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვარდებით მასწავლებლები.

ვის უნდა მივცეთ ხმა? რით უნდა ვიხელმძღვანელოთ, პარტიის თვალსაზრისით თუ შკოლების ინტერესების თვალსაზრისით? შესაძლებელია მე ერთ პარტიას ვეკუთვნოდე და მეორე პარტიის კანდიდატი მომწონდეს და მიმაჩნდეს უფრო სასარგებლოთ, ვიდრე ჩემი პარტიის კანდიდატი. ამ შემთხვევაში რომელს უნდა უღალატო პარტიის დისციპლინას თუ შკოლას?

ჩემის აზრით აქაც გამგეობას უნდა დაესახელებია ორი ან სამი პარტიის გარეშე მდგომი პირი, გამოექვეყნებია მათი პედაგოგიური მომზადება და მოღვაწეობა და ჩვენ საშვალება გვექნებოდა ყოველისფერი აგვეწონ-დაგვეწონა—მიველო მხედველობაში ყველა დადებითი მხარეები და მოგვეხდინა ნამდვილი მიუდგომელი არჩევნები.

მასწავლებელი.

უკანასკნელი ამბები

იურიდიულმა კომისიამ აღიარა, რომ ორთავიანი არწივი არ არის დაკავშირებული რომანოვთა დინასტიისა და განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ წესწყობილებასთან, როდესაც მას სატიტულო ღერბი და მონარქიული ემბლემები ჩამოეცლება იგი შეიძლება ხმარებაში დარჩეს თავისუფალ რუსეთის ღერბის სახელით. კომისიამ აღიარა აგრეთვე, რომ რუსეთის დროშას არა აქვს დინასტიური ნი-

---

მტრის—თვითმპყრობლობის დამხობის შემდეგ თავის შინაურ საქმეებზედაც იზრუნოს.

ამის წინააღმდეგი მტერია ქვეყნისა, ულირსი შვილია თავის ერისა!

რუსეთის ამ „საერთაშორისო“ უფლების მეოხებით საქართველომაც ამოიღო ხმა და სწორედ რევოლუციის გასაღრმავებლად. მოითხოვა თავისი ეროვნული უფლებათა აღდგენა,—აღდგენა საქართველოს ავტონომიისა და საქართველოს ავტოკეფალიისა. (თვითმწყსობისა.)

სამწუხაროდ საქართველოს ავტონომიას ძლიერი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა ჩვენშივე.

რადგანაც საქართველოს არ მოეპოვება თვისი საკუთარი, სოციალ-დემოკრატიული პარტია, რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქართველმა წევრებმა მხარი ვერ დაუჭირეს ჩვენის ქვეყნის ამ მოთხოვნილებას, ამ აუცილებელ საჭიროებას,—შეიძლება იმიტომაც კი, რომ ამ პარტიის უპირველესნი წევრნი (კარლო ჩხეიძე, კაკი წერეთელი, ის. რამიშვილი და სხვანი), რომელნიც პეტროგრადის მოძრაობას სათავეში უდგია, სხვა ქართველებზე უფრო კარგად ხედავდენ სარევოლუციო ძალთა განწყობილებას,-მაგრამ—შეგნებული ერი თავის დღეში ვერ აიღებს ხელს თავის უფლებებზე, რომელიც მას მიანიჭა ისტორიამ და წაართვეს კი რუსის აწ დამხობილმა ბიუროკრატებმა...

და დღეს თუ არა, ხვალე მაინც საქართველო უნდა შეიქმნეს პოლიტიკურად თავისუფალი.

ამაზე ოცნებობდა მთელი 117 წლის განმავლობაში საქართველო, ამას ნატრობდა მთელი ქართველი ხალხი და იმედიცა აქვს, რომ რუსეთის დემოკრატია დიდხანს არ დააყოვნებს ამ თავისუფლების დანხორციელებას. მაგრამ არის ერის მეორე გვარი თავისუფლება, რომელთანაც სოლიტიკას ხელი არ უნდა ქონდეს.

ეს გახლავთ თავისუფლება სინიდისისა და სარწმუნოებისა.

არც არაბებს, არც სელჯუკებს, არც მონგოლებს, არც სპარსელებს და არც ოსმალებს, ისე არ შეუგინებიათ სინიდისი, სარწმუნოება, ქართველის ერისა, როგორც ეს შეაგინეს ჩვენმა ერთმორწმუნე რუსეთის ბიუროკრატიამ, მისმა ხელმწიფემ, მისმა ჟანდარმერიამ.

რევოლუციური შეგნება, რევოლუციის გაღრმავება მოითხოვდა, რომ რევოლუციის პირველ დღესვე მოეთხოვა საქართველოს თავისი ეკლესიის თავისუფლების აღდგენა და აღადგინა კიდეც რევოლუციურის გზით.

ჩვენ გვეგონა, რომ ამ დიდებულ აქტს სიხარულით შეხვდებოდა რუსეთის დროებითი მთავრობა, მაგრამ ნაცვლად ტერიტორიული ავტოკეფალიისა ჩვენ გადმოგვიგდო ეროვნული ავტოკეფალია.

ამითი, დროებითმა მთავრობამ ნათლად დაგვანახვა ორი რამ: 1) თავისი ორპირფობა და 2) თავისი გულის თქმა: ეროვნულ ავტოკეფალიის მიღებით, მას განზრახვა ჰქონდა დაეკარგვინებინა ჩვენთვის ჩვენი ხალხის ისტორიული უფლება. მაგრამ ჩვენმა სამღვდელოებამ გადასდგა მეორე რევოლუციური ნაბიჯი და ახალ მთავრობის წარმომადგენელს თავისი პროტესტი განუცხადა.

ჩვენ არ ვიცით, ყურად-იღებენ თუ არა ამ პროტესტს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ გარდა ჯარისკაცებისა და მუშებისა, საქართველოს არც ერთ წრეს, არც ერთ წოდებას ასეთი რევოლუციური და სამართლიანი ნაბიჯი არ გადაუდგამს, როგორიც გადადგა ჩვენმა სამღვდელოებამ.

ის, ვინც არ იცის ამა თუ ამ ხალხის ისტორია—უფლებანი და ვინც გაზდილია მხოლოდ იაფ-ფასიან წიგნაკებზე, რასაკვირველია, ვერ მიხვდება, რა მნიშვნელობაცა აქვს სინიდისის თავისუფლებას მომავალი ცხოვრებისათვის, მაგრამ ჩვენ ამას აღვნიშნავთ არა მყვირალათათვის, არამედ იმათთვის, ვინც შეგნებულად ემსახურება რევოლუციის გამარჯვებას და სამართლიანობის დამყარებას.

ცალკე პიროვნებასა, თუ ერს მხოლოდ მაშინა აქვს ბრძოლის ხალისი, როცა მისი პირად—ღირსებას რაიმე საფრთხე მოელის, ან როცა იმედი აქვს აღადგინოს უკვე გათელილი თავისი პატივი და უფლებანი...

მაშ, ნუ დავივიწყებთ რუსეთის ერებს და მათის ეროვნულ ჭრილობათა გამთელებით შევქმნათ თავისუფალი რუსეთის რესპუბლიკა და რუსეთის სამზღვრებში მყოფ ერების თავისუფალი შინაური ცხოვრება.

მხოლოდ მაშინ დაფასდება ხალხის მიერ დაღვრილი სისხლი და ცრემლი!

მხოლოდ მაშინ მოიხსენება მადლობით რუსეთის დიდი რევოლუცია...

ია ეკალაძე.

შნები და მონარქიული ემბლემები. ღერბი და დროშა შეიძლება იხმარებოდეს დამფუძნებელ კრების გადაწყვეტილებამდი. სახელმწიფო სათათბიროს საზეიმო სხდომაზე მოვიდა ვიღაც უცნობი, რომელსაც უნდოდა კერენსკის ნახვა. უცნობზე ეჭვი მიიტანეს. გაჩხრეკის შემდეგ აღმოუჩინეს რაღაც ნივთიერება, რომელიც ქიმიკურ ლაბორატორიაში გაგზავნეს. დაკითხვის დროს მან განაცხადა, რომ მისი გვარი **მუსინია**. მოვიდა იმიტომ რომ მოეკლა კერენსკი. როგორც სჩანს მუსინი არანორმალურია. კერენსკიმ სთქვა: ეს მეორე შემთხვევაა, როცა მე მოკვლა დამიპირეს. მინდა პირადათ ვნახო მუსინი და გავიგო, რატომ უნდოდა ჩემი მოკვლაო.! „შავი წერტილის“ საბჭოსაგან დეპუტატმა ჩხეიძემ სიკვდილის განაჩენი მიიღო.

--პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა კოალიციურ სამინისტროს კითხვას განსაკუთრებული კრება მოანდომა. წინააღმდეგი იყო 23, თანახმა- 22; თავი შეიკავა 8. ამის გამო გადაწყვეტილია კითხვა წაერთო კრებაზე გაირჩეს.

—თუ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ კოალიციურ სამინისტროს მოწვევის კითხვა დადებითად გადასჭრა, მაშინ მინისტრებისათვის შემდეგი კანდიდატებია წამოყენებული: ჩერნოვი სამიწადმოქმედო მინისტრი, წერეთელი—საგარეო საქმეთა მინისტრი; შინგარიოვი აიღებს საზღვაო მინისტრის პორთველს, ხოლო მილიუკოვი განათლების მინისტრობისას.

—ბრუსილოვმა და გურკომ გუჩკოვს ვრცელი დასაბუთებული დეპეშები გამოუგზავნეს, რომ ისინი უარს ამბობენ თავიანთ თანამდებობაზე. მთავრობამ მათი სამსახურისაგან გადადგომის თხოვნა არ მიიღო. ამბობენ, რომ ახლო მომავალში სამხედრო სამინისტროს შემადგენლობაში მოსალოდნელია ცვლილებები. როგორც ხმები დადის კორნილოვი ჯარების სარდლათ ინიშნება. კიევის ოლქის უფროსის როდოროვიჩის მაგიერ ინიშნება სამინისტროს კამისარი პოდპოლკოვნიკი ობერუჩევი.

—2 მაისს სტოკჰოლმში გაიმართა მოლაპარაკებათა მთელი წყება, რომელთაც განზრახული აქვს მოიწვიოს კომიტეტის კონფერენცია სხვა და სხვა ქვეყნის სოციალისტების წარმომადგენელთა თანადასწრებით ამ მოლაპარაკებათ ზოგადი მიზნით არის სასურველი ნიადაგის მომზადება მომავალ კონფერენციისათვის. პირველი მოლაპარაკება გაიმართება გერმანელ სოციალ-დემოკრატების უმცირესობასთან, შემდეგ ფინეთის სოციალდემოკრატებთან. მოდიან ავსტრიის, უნგრეთის, ბულგარეთის, ჩეხეთის, სერბეთის და ბოსნიის სოციალ-დემოკრატები.

რუსეთი.

ბლეხთა დეპუტატების კავშირი.

23 გუბერნიის გლეხთა წარმომადგენლების არმიისა და, მთავარ საორგანიზაციო და პეტროგრადის საოლქო კომიტეტებისა და სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის მოლაპარაკება გაიმართა, რომელმაც დაუყოვნებლივ საჭიროდ სცნო შექმნა სრულიად რუსეთის კავშირისა გლეხთა დეპუტატებისაგან. დეპუტატთა ყრილობა დანიშნულია პირველი მაისისათვის, ხოლო საბჭოში რჩეულ დეპუტატებს შეუძლიანთ დაგვიანებით გამოცხადებაც. დიდი რიცხვით არის წარმოდგენილი საბჭოში არმია. აირჩევენ ცალკე როტები, ესკადრონები და ბატარეები, ანუ თითო ამომრჩეველს ჯარის შესაფერი ნაწილები, რომელნიც შეიკრიბებიან და აირჩევენ დეპუტატს ინსტრუქციაში ნაჩვენებ ნაწილისა ან რაიონისაგან.

ყოფილი პოლიცია.

ოფიცერთა და ჯარის-კაცთა საბჭომ ოდესაში ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მეტი ნაწილი ყოფილ პოლიციელებისა მოეწყო ჯარის ზურგში და, მიუხედავათ იმისა რომ დროებითმა მთავრობამ ბრძანა მათი ფრონტზე გაშვება, ისინი მაინც არ იგზავნებიან. ერთი მათგანი მოეწყო მილიციაში და დაჭერილ იქნა მექრთამეობაში. დადგენილია, სთხოვონ შტაბს გადაყენებულ იქნან პოლიციელები მილიციიდან და მოხდეს საერთოდ მილიციის რეორგანიზაცია.

ბნელი ძალები.

19 აპრილს შუაღამისას კუკის დუმის მოედანზე შესდგა დიდი მიტინგი. წარმოსთქვეს უცნაური სიტყვები. ფიქრობენ, მიტინგი ქურდ-ბაცაცების მოწვეული უნდა იყოსო, რადგანაც მათ ისარგებლეს მიტინგით მოსჭრეს ოფიცრებს რევოლვერები ქამრებიდან და მრავალი ქურდობა! ჩაიდინეს.

ლიპოვეცის მაზრაში მღელვარებამ იჩინა თავი. დამნაშავე ყოფილი მომრიგებელი შუამავალი სოკოლოვი ყოფილა, რომელიც აირჩიეს სარაიონო კომისარად და დაიწყო მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია, რამაც გლეხებში არევ-დარევა გამოიწვია.

დააკავეს კიშინიოვის საელექტრონო სადგურის მოსამსახურის გულეიჩუკის ცოლი ევლოკია, რომელიც თავის სახლის ჭიშკართან თავს უყრიდა ჯარის კაცებს და დარბევის გამომწვევ ფურცლებს ურიგებდა.

ხარკოვში უკრაინელთა საორგანიზაციო კომიტეტმა მღვდელ-მთავარ ანტონს თხოვნით მიმართა, რათა მას დაერთო ნება ეკლესიებში უკრაინელ ენაზე ეკითხნათ სახარება. ამ თხოვნაზე მღვდელ მთავარ შემდეგი წარუწერია:

„ყველგან და ყოველთვის ვაძლევდი და ვაძლევ მღვდლებს უფლებას, თუ კი მოისურვებენ, უკრაინულათ იკითხონ სააღდგომო სახარება, ხოლო ჩემს სამსახურში, არც უკრაინულად და არც ველიკორუსულად მივსცემ ვინმეს წირვის უფლებას. ყველა დიდი ერი იმ ენაზე არასოდეს ლოცულობს რომლითაც ქუჩაში ლაპარაკობენ. უკრაინელებიც ზიზღით შეჰყურებენ უკრაინულ სახარებას; ამიტომ, თუ ამას მათ ვინმე უბოძებს, ისინი ხელსაც არ ახლებენ“.

უკრაინელი პრესა დიდათ აღაშფოთა ასეთმა რეზოლუციამ, რისთვისაც მღვდელმთავარს ცხარე პროტესტი გაუგზავნეს და ურჩიეს, როგორც ძველი რეჟიმის მომხრეს, მოსასვენებლად წაბრძანება.

სოციალიზმი და ეკლესია.

დემოკრატიულ მართლმადიდებელ კავშირის ბჭობის დროს ობერ პროკურორმა ლვოვმა სთქვა: „ჩაჭიროა მივისწრაფოდეთ ეკლესიისა და ხალხის მართვა გამგეობის შედუღებისაკენ. სოციალიზმი არსებითად წმინდა ქრისტიანული მოვლენაა. ეკლესიისა და სოციალიზმის, დემოკრატიის შეკავშირებით კარგ ნაყოფებს უნდა მოველოდეთო.“

გაფიცვები პოლონეთში.

როგორც გაზეთი „ტელეგრაფი“ იუწყება ვარშავაში დიდმა გაფიცვამ იჩინა თავი.

განსაკუთრებით გაიფიცა სამუნიციო ქარხნები, სატრანსპორტო მოსამსახურენი და სარკინისგზო მუშები. გაფიცვის ტალღები გადადის მეზობელ ქალაქებში. ლოძში ვაჭრობა შეწყვეტილია, შეჩერებულია ტრამვაის მოძრაობა. ბევრმა რკინის გზის მოსამსახურემ და მუშამ მუშაობა მიატოვა. გაფიცვას პოლიტიკური ხასიათი ეძლევა. ვარშავის გუბერნატორმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც იმუქრება საკონცენტრაციო ბანაკში გადასახლებით უკეთუ მუშები მუშაობას არ შეუდგებიან. პოლიციამ 150 კაცზე მეტი დაიჭირა. უმეტეს ნაწილად დაკავებულია რედაქტორები სხვა და სხვა გაზეთებსა და ის პირნი, რომელნიც მუშათა ორგანიზაციებში მხურვალე მონაწილეობას იღებენ.

პოლონელთა ლაშქარი.

დასავლეთის ფრონტის პოლონელ ჯარის-კაცთა დელეგატების კრებაზე ირჩეოდა კითხვა პოლონელთა ლაშქარის შექმნისა. გაჩნდა ორი მიმდინარეობა: ნაროდოვცები მოითხოვდენ პოლონელთა ჯარისკაცებისა და ოფიცერთაგან შექმნათ ერთი განცალკევებული სამხედრო ერთეული, პროგრესისტი-პოსტეპოვცები ამტკიცებდენ, რომ პოლონელთა ჯარს შექმნის მხოლოდ პოლონეთის სახელმწიფო ანდა უფლება მოსილი მთავრობაო. ფრონტიდან ჩამოსულები ნარადოვცებს მიემხრო.

უმრავლესობით გადაწყდა შექმნან კერძო პოლონელთა არმია განსაკუთრებულ დივიზიათა სახით, რასაკვირველია დროებით მთავრობასთან შეთანხმებით; რათა საბოლოოთ გადასწყდეს პოლონელთა ლაშქარის შექმნის კითხვა, გადაწყვეტილია მოიწვიონ დელეგატები ყველა ფრონტებიდან, ჯარის ზურგიდან და გარნიზონებიდან.

უცხოეთი.

მოკავშირეთა პარლამენტის კონფერენცია.

პარიზში შესდგება საპარლამენტთაშორისო კონფერენცია, რომელსაც დაესწრება საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის წარმომადგენლები. 80 დელეგატები უკვე მოვიდნენ. დელეგატებს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი მიიღებს. იტალიის დელეგაციის გამოჩენილ მონაწილეთა შორის არიან: რომის მერი კოლ ინნა, ცნობილი მარკონი, მაჯარინო, ფერრარი, ვოლტერრი, კიეზი და ნავა

რუზველტის მოწოდება რუსის ხალხისადმი.

შეერთებულ შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა რუზველტმა რუსის ხალხისადმი მოწოდება გამოაქვეყნა. რუზველტი ურჩევს რუსეთის რევოლუციის ბელადებს, შესაძლო რეაქციის ასარიდებლად მოპოებულ გამარჯვებით ზომიერად ისარგებლონ.

რუზველტი ღრმა თანაგრძნობას გამოსთქვამს რუსეთის სარევოლუციო პროგრამისადმი და დასძენს: „ასეთი დიდი საზოგადოებრივი მოძრაობის დროს, შესაძლოა, თქვენ საფრთხე მოგევლინოთ, როგორც დაუდგრომელ უკიდურეს პარტიებისა, ისე რეაქციონერების მხრით: ცეცხლის ჩირაღდანმა რევოლუცია დაანთო. იზრუნეთ, რომ მისი სინათლე უკიდურესის, არა გონიერის მოქმედებით დაბნელებულ არ იქმნეს.

არა მარტო თქვენთვის, არამედ ჩვენთვისაც მოგმართავთ თხოვნით, ვაჟკაცურის უანგარობით, ბრძნულის თავდაჭერით შეეწიოთ თქვენს ქვეყანას და განამტკიცოთ რევოლუციით მოპოებული სიკეთენი.“

ინგლისის მეფის მოწოდება.

ინგლისის მეფემ მოწოდება გამოსცა, რომელშიც დაბეჯითებით ურჩევს ხალხს დაზოგვით მოეპყრას სურსათ სანოვაგეს და შეზღუდოს პურის ხარჯი ერთი მეოთხედით მაინც, ფქვილი მხოლოდ პურის გამოსაცხობად მოიხმაროს და ნებადაურთველად არ დახარჯოს ქერი ცხენების გამოსაკვებად.

რეიხსტაგის საკანონმდებლო კომისია.

გერმანეთში შესდგა რეიხსტაგის საკანონმდებლო კომისია, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბელადი, შეიდემანი, ხოლო მის ამხანაგად კონსერვატორი ფონფეიტი.

გერმანელ ანექსიონისტების მოთხოვნანი.

ბერლინში გამოვიდა წიგნაკი სათაურით: „გერმანეთის მომავალი ცუდი ან კარგი ზავის შესახებ.“ წიგნაკი წარმოადგენს პირველ ბეჭდვით ნაყოფს პანგერმანელების მიერ შექმნილ ორგანიზაციისას, რომელიც დაარსებულია იმპერიის კანცლერის წინააღმდეგ საბრძოლველად.

წიგნაკი შეუდგენია რამოდენიმე პროფესორს, ბლომადაც დაიბეჭდა და იაფ ფასებშიც იყიდება. 22,000 ცალი გამომცემელმა მომქმედ არმიას დასარიგებლად გადაუგზავნა.

წიგნაკში მოთავსებული პროფ. გრუბერის წერილი არ სჯერდება ბელგეთსა, ჩრდილო საფრანგეთსა, დასავლეთ რუსეთსა და უკრაინას. ანექსიონისტურ მისწრაფებით დაგროვებული გრუბერი კიდევ კალესა, დიუნკირხენსა და ბულონს მოითხოვს; გარდა ამისა მისი აზრით პორტუგალიას დასასჯელად უნდა ჩამოერთვას ახალშენები. ასეთივე ბედი უნდა ეწიოს საფრანგეთისა და ინგლისის მრავალ ახალშენს აფრიკაში.

პროფ. ფიშერი მოითხოვს გერმანეიის სასარგებლოდ 200 მილიარდის მარკის კონტრიბუციას, ხოლო მისი მოკავშირეების სასარგებლოდ 150 მილიარდისას.

მეორე ავტორის აზრით საფრანგეთსა და რუსეთს უნდა წაერთვას მეტი წილი ქვანახშირის მადაროებისა

გერმანელები ინგლისის ფლოტის დანაკლისის შესახებ.

გერმანეთის ოფიციალ ცნობათა მიხედვით გერმანელებმა თებერვალში ჩაძირეს შეთანხმების სახელმწიფოთა სავაჭრო ფლოტის 781 ათასი ტონა, ხოლო მარტში 861 ათასი ტონა. ვოლფის სააგენტო ამის გამო შემდეგ განმარტებას იძლევა.

ორი თვის განმავლობაში ჩაძირულია 1,640 ათასი ტონა, რომელთაგან, სულ ნაკლები, 1 მილიონი ტონა ინგლისის ფლოტის დანაკლისს შეადგენს. რადგან ინგლისის განკარგულებაში 1 თებერვალს 7 მილიონი ტონის სავაჭრო ფლოტი იმყოფებოდა, ამიტომ ინგლისის დანაკლისი მისი სავაჭრო ფლოტის მთელი შემადგენლობის $^{1}/_{7}$ უდრის. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იანვარში იმ ფლოტის მთელი ტონაჟი, რომელიც მისს საჭიროებას ემსახურებოდა $9^{1}/_{2}$ მილიონს უდრიდა, დავინახავთ, რომ თებერვლისა და მარტის განმავლობაში წყალქვეშა ნავებმა იმსხვერპლა დაახლოებით $17^{1}/_{2}\%$ მთელი ტონაჟისა, რომლითაც მან 1917 წელში შესდგა ფეხი.

იმის დასახასიათებლად, თუ რაოდენ განმანადგურებელია წყალქვეშა ომი ინგლისის სამეურნეო ცხოვრებისა და სატრანსპორტო საშუალებათათვის, საჭიროა აღინიშნოს, რომ ნეიტრალ გემების შესამჩნევმა ნაწილმა, რომლის ტონაჟი 1 მილიონს უდრის, ინგლისთან მისვლა-მოსვლა შესწყვიტა.

რედაქტორ გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

ექიმები:

გ. ი. გოძიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. [illegible] ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი
მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოსტავას სახლი № 17.

რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	დილის	8 ს.	წ.
„	საღამ.	8 ს. 50	„
ბათომიდან	დღისით	12 ს. 40	„
„	ღამის	1 ს.	„
ფოთიდან	დილის	10 ს. 26	“
ტყიბულიდან	საღამოს	6 ს. 50	„
ხაშურიდან	დილის	9 ს. 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	დილის	11 ს. —	„
„	ღამის	11 ს. 34	„
ბათომისაკენ	საღამოს	7 ს. 5	„
„	დილის	7 ს.	„
ფოთისაკენ	დღისით	4 ს.	„
ტყიბულისაკენ	დილის	8 ს. 40	„
ხაშურისაკენ	დღით	5 ს. 20	„

იყიდება

საწოლი, დიდი სარკე, გარდეროზი, ირმის რქები და სამოვარი.
კაზაკოვის ქუჩა, სახლი **პავლოვისა** იკითხეთ **გრინევისა**. ნახვა შეიძლება 3 საათის შემდეგ. 2—1.

კაცობრიობა საუკუნოებით
ელოდა
დიდი ხნის განმავლობაში მსწავლულები, პროფესორები და შინაგან ავადმყოფობათა სპეციალისტები იმის ძიებაში იყვნენ, თუ რა საშუალებით შეიძლებოდა განეკურნათ დაუძლურებულნი, სისხლ ნაკლებნი და ბოლოს იმ დასაკვნამდე მივიდნენ, რომ **ბიუხნერის** მიერ აღმოჩენილი **სექარის სითხე** (თესლეულობისა და ცხოველთა ჯირკვლებიდან გამოხდილი) საუკეთესო საშუალებაა ზემო ჩამოთვლილ ავადმყოფობათა წინააღმდეგ და ძალიანაც მოქმედებს მათზე. მთელი კურსი ღირს 32 მან. ნახევარი კურსი—16 მან. მეოთხედი 8 მან. ეგზავნება ყველას ვინც 5 მან. ბეს გამოგვიგზავნის. წამლისათვის და ცნობებისათვის გთხოვთ მიმართოთ მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.** თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 16 გან. K—2.

ვისაც სურს სამუდამოთ განთავისუფლდეს ქარებისაგან (რევმატიზმისაგან) და ყოველგვარ კანის ავათმყოფობისაგან ურჩევთ მიაშუროს
ძმ. წულუკიძეების
გოგირდის აბანოს
ს. ბუგეულსრაჭის მაზრაშიდ, რომლის მუშაობა
განახლდა
პირველ აპრილიდან. აბანოსთან არის სუფთა ოთახები ავათმყოფებისათვის და სუფთა თეთრი ქვის ვანები; იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის.
აბანოს გამგე **ივანე სოხაძე.**

რუსეთის დიდი რევოლუციის **სახსოვრად**
ყოველ თავისუფალ მოქალაქის ბინაზე, განურჩეველად ეროვნებისა და სარწმუნოებისა უნდა მოიპოვებოდეს 11 ახალი მთავრობის სახალხო მინისტრების სურათები
1) მანეთად და 75 კაპ. გაგეგზავნებათ 11 მინისტრთაგან შემდგარი ჯგუფის სურათი დიდი ფორმატის 2) მ. 75 კაპ. 6 დიდი პორტრეტი: როძიანკოსი, ლვოვის, გუჩკოვისა, კერენსკის და ჩხეიძის—ამასთანავე რუსეთის რევოლიუციის დიდედის ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას სურათი, 3) 5 მ. 50 კაპ. მიიღებთ ორ სენსაციურ წიგნს: ა) „გრიშკა რასპუტინი“. ბ) რომანოვთა სახლის საიდუმლოებანი. 4) სამარცხვინო გამჟღავნება, რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი სურათები: 1) გრაფინა ალპატიესა ეხვევა რასპუტინს, 2) ქალბატონი კუროპოვისა და რასპუტინი, 3) რასპუტინი უმაღლეს წრეეზის პატიოსან ქალებში, 4) რასპუტინის მოკვლა თ. იუსუპოვის სახლში და სხვ ფული უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით Издательство „Бюро Печати“ Москва, Тихвинскій пер., № 7 кв. 21--Д.
ვინც წინათვე სულ მთლად წიგნების ფას გამოგზავნის იგი გაგზავნის ხარჯს არ იხდის. ფასი შეიძლება გამოიგზავნოს მარკებითაც შეკვეთილი წერილითა, უბეოთ არავის არ ეგზავნება ზემოხსენებული წიგნები და პორტრეტები იგზავნება ფას-დაკლებით და გზის ხარჯით ფირმაზე ვინც გამოგზავნის წინათვე 9 მან. 75 კაპ. ვინც 25 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს მას მიეცემა 30 პროცენტის დაკლებით. შეკვეთა და ფულის გაგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით: Москва Бюро Печати Тихвинскій пер. № 7 кв. 21

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.